თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5814217

ნომერი: AR1878325

თარიღი : 16.02.2022

გაცემის თარიღი : 21.02.2022

გაცნობის თარიღი : 21.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მონასტრის ჩიხი, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მჭედლიშვილი პ/ნ 01005023555
- თბილისი, ცაბაძის 15

ორგანიზაცია:
- იზი გრუპი კოდი: 405307047

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16 თებერვალს №AR1878325 განცხადებით მომართა მიხეილ მჭედლიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის საკადასტრო კოდის და მესაკუთრის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილებით სამსახური დაეთანხმა ქალაქ თბილისში, მონასტრის ჩიხი №10-ში მდებარე №01.11.04.028.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მოწყობის შესაძლებლობას.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ ბრძანებაში საპროექტო ობიექტის საკადასტრო კოდი და მესაკუთრე არასწორად არის მითითებული და შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2021 წლის 28 ოქტომბრის №AR1859041 განცხადებით შპს იზი გრუპის დირექტორის - მიხეილ მჭედლიშვილის მიერ მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისში, მონასტრის ჩიხი №10-ში მდებარე №01.11.04.028.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის ღობის მოწყობაზე წერილობითი თანხმობის გაცემა. ველში - „განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ საპროექტო მიწის ნაკვეთად მითითებულ იქნა №01.11.04.028.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთი. ამასთან, საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა სწორედ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ტექნიკური შეცდომის შედეგად საპროექტო ობიექტის საკადასტრო კოდი და მესაკუთრე არასწორად დაფიქსირდა.

როგორც დღევანდელი მდგომარეობით, ასევე, სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილების გამოცემის მომენტისთვის, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882022044700; მომზადების თარიღი: 24/01/2022 წ.) ქალაქ თბილისში, მონასტრის ჩიხი №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს იზი გრუპი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405307047), ხოლო საკადასტრო კოდს - №01.11.04.028.117.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (პირველი, მე-2, მე-3, მე-4 აბზაცები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, მონასტრის ჩიხი №10-ში შპს იზი გრუპის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405307047) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.04.028.117) ღობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს. სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცია: №882022044700; მომზადების თარიღი: 24/01/2022 წ., საკადასტრო კოდი: №01.11.04.028.117, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქალაქ თბილისში, მონასტრის ჩიხი №10-ში შპს იზი გრუპის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405307047) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.04.028.117) ღობის მოწყობის შესაძლებლობას.

ღობე უნდა მოეწყოს №01.11.04.028.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5795196 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.